ზედმეტი არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ არც თვითმოქმედება და არც თვითმმართველობა თვითმიზანი არ არის და არც არავითარ საერთო თვითნებობასთან არა აქვთ, პირიქით, ერთიც და მეორეც უფრო თვითნებობის აღმაკვეთ საშუალებად გვევლინება.

ვამახვილებთ რა საბჭოების ყურადღებას სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების განვითარების აუცილებლობაზე, საჭიროა საბჭოებმა ამავე დროს გაძლიერონ მუშაობა საჯაროობის დასაბამკვიდრებლად მთელ თავიანთ საქმიანობაში, ახსოვდეთ ყოველთვის, რომ ეს მათი კონსტიტუციური მოვალეობაა.

როგორ ასრულებენ ჩვენი საბჭოები ამ კონსტიტუციურ მოთხოვნას? თუ თვითკრიტიკულნი ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ საჯაროობა საბჭოების საქმიანობაში ნორმად და ჩვეულებად არ ქცეულა, არ გაიჩნია საამისოდ გამოშუშაებული მწყობრი სისტემა.

როცა საჯაროობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მხოლოდ საბჭოების საქმიანობის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებას როდი ვგულისხმობთ. მხედველობაში გვაქვს ყველაზე სრული ინფორმირება ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე, მოვლენებზე, შემთხვევებზე, ამოცანებზე.

საჯაროობის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც სისტემატურად აუწყებს მოსახლეობას მიღებული დადგენილებებისა და ღონისძიებების შესახებ. ამასთანავე ერთად ცენტრალური კომიტეტი უწყვეტებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთაგან მოითხოვს დროულად და სწორად აცნობონმ მოსახლეობას შექმნილი სძნელეებისა და შემთხვევების ამბავი, ხშირად მიმართავს ხოლმე შრომითს კოლექტივებს, მოსახლეობას წერილობით, აწყობს ერთიან პოლიტიკურს, „ღია წერილს" დღეს და სხვა, რომელთა საშუალებით აცნობს შრომელებს საქმის ვითარება-მდგომარეობას და რაზმავს მათ საჭირომორიგო საკითხების მოსაწესრიგებლად.

დღეს საბჭოების განკარგულებაში, გარდა დეპუტატთა ფორმირებებისა და საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე უჯერედებისა მოსახლეობის თვითმოქმედების მრავალი ორგანო არის. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საზოგადოებრივი თვითმმართველობის თუ თვითმოქმედების ნებისმიერი ინსტიტუტი მნიშვნელოვანი და შედეგიანია. ამის დამადასტურებელია მაგალითები არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით აღმოცენებულ მაკორიანოთა საზოგადოებრივი საბჭოების ცხოვრებიდან. ამ საბჭოებმა უკვე მოიპოვეს მოქალაქეობის უფლება, მოსახლეობამ ისინი მიიღო და იწამა, განსაკუთრებით ეს, სადაც ამ საბჭოებს ინიციატივანი, უნარიანი ამხანაგები ჩაუყენეს სათავეში და სახალხო დეპუტატთა სათანადო საბჭოების აღმასკომები კარგად მართვენ მათს საქმიანობას.

სოციალისტური დემოკრატიის შთამბეჭდავ მიღწევად, საბჭოებისა და დეპუტატების მუშაობის პროგრამის ფორმირებაში შრომელთა მონაწილეობის ეფექტიან საშუალებად მიჩნეულია ამომრჩეველთა განაწესები.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოები, თვით დეპუტატები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას. მათ კარგად ეს მეთ, რომ შესრულებული განაწესი სოციალისტური დემოკრატიის საგნობრივი და თვალსაჩინო აგიტაციაა. გასული მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიეცემული 18.576 განაწესიდან შესრულებულია 17.264, ანუ მათი საერთო რაოდენობის 93 პროცენტი. დანარჩენი სრულდება ან გათვალისწინებულია პერსპექტიულ გეგმებში.

აღსანიშნავია, რომ განაწესებზე მუშაობისას ადგილობრივი საბჭოები ეყრდნობოდნენ თვით დეპუტატთა აქტიურობას, მათს დაინტერესებულ მონაწილეობას ამ საქმეში, ეძიებდნენ დამატებითს რეზერვებს. ამომრჩეველთა მრავალი განაწესი შესრულდა მეტწილად ადგილობრივი რესურსების მობილიზაციისა და რაციონალური გამოყენების გზით.

ამომრჩეველთა განაწესების შესაბამისად რესპუბლიკაში აშენდა 24 სკოლა, 13 საბავშვო ბაღაბალი, 2 ხიდი, პოლიკლინა სახალი, გადაწყდა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამეცილინო მომსახურების ობიექტების მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გაზარდა მომთხოვნელობა განაწესების მიღებისა და მათ შესასრულებლად დასახული ღონისძიებების განხორციელებისადმი.

პრეზიდიუმმა საბჭოების, დეპუტატების, სამეურნეო ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო ამას, რომ ის, რაც კეთდება განაწესების მიხედვით, ზიანს არ უნდა აყენებდეს საგეგმო ღონისძიებებს. დაუშვებელია მასალური, სახსრების გეგმით გათვალისწინებული ობიექტებიდან სხვა ობიექტებზე გადათვა. ასეთი წინათ გავრცელებული პრაქტიკა სამართლიანად დაგმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმმა. ამიტომ არის, რომ განაწესი, რომელიც საბჭოს მიერ მიღებულია შესასრულებლად, აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი გეგმაში, რათა მის სარეალიზაციოდ გამოიყოს სათანადო მატერიალური რესურსები.

ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად გაძლილ ორგანიზატორულ მუშაობაში აქტიურად არიან ჩაბმული საბჭოების მუდმივი კომისიები, რომელთა მთელ საქმიანობას მათი უფლებამოსილების პერიოდში „განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, სოციალური განვითარების პროგრამის განხორციელების, სახელმწიფო და სამეურნეო მექანიზმის ყველა რგოლის შემდგომი სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოებისა და განმტკიცების ამოცანები.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო უმაღლესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის საკითხებს.

სოციალისტური დემოკრატიის სისტემის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტად, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ითვლება „რომბოი კოლექტივი, რომლის შინაგანი ბუნება და ორგანიზაცია, მუშაობის ფორმები და მეთოდები დემოკრატიულ საწყისებზეა აგებული.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საბჭოები ახლა უფრო აქტიურად მუშაობენ სოციალისტური კანონიერებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, თუმცა საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების მრავალ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ბევრ რამეს კარგავს შრომის ცუდი ორგანიზაციის, პასუხისმგებლობისა და დისციპლინის დაქვეითების გამო. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის დანერგვას, რომელიც შრომის დისციპლინის განმტკიცების დიდ შესაძლებლობას შეიცავს. სტატისტიკური მონაცემები მოწმობ[illegible]რომ ბრიგადებში, სადაც [illegible] ორგანიზაციის და სხვ[illegible] კოლექტიური ფორმა [illegible], კადრების ღენადობა და სამუშაო დროის დანაკარგების დონე გაცილებით დაბალია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება განუყოფელად არის დაკავშირებული საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებასთან. აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებელია ის, თუ როგორ მონაწილეობენ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია დიდი თუ პატარა პრობლემების გადაჭრაში. როგორ ირკვევიან, როგორ იბრძვიან ისინი ნაკლოვანებათა წინააღმდეგ.

ამ თვალსაზრისით საბჭოები შეგვიძლია დაკახასიათოთ როგორც შრომელებისათვის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ჩვეულების ჩიხერგვის უმაღლესი რგოლი. საბჭოების კონსტიტუციური მოვალეობა ის არის, რომ ისინი თავიანთ საქმიანობას ახორციელებენენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და შრომითს კოლექტივებთან მჭიდრო კავშირით, გამოა

დემოკრატიული საწყისების გაღრმავების კურსით

(დასასრული)

ნიშნეულოვანესი ფაქტორია და ყოველი ჩვენგანი მოწოდებულია მკაცრად დაიცვას იგი.

მინისტრთა საბჭოს დიდმნიშნელოვან სახელმწიფოებრივ საქმედ მიიჩნია საბჭოთა საქართველოს მშრომელთა სულ უფრო მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ მიზნის დაჩქარებლად ეფექტიანი ბრძოლა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, კომპლექსური პროგრამის რეალიზაცია. რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისაგან ჩვენ მოვითხოვთ ყველა შესაძლებლობა გამოიყენონ მოსახლეობისათვის საჭირო ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობის ზრდისა და მისი ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

მეტ ყურადღებას მოითხოვს მოსახლეობის კომუნალური, საკვების, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების საკითხები. ამ მიმართულებით ყველა შესაბამისმა საქონლისტრომ და უწყებამ ზუსტად უნდა განსაზღვროს და გადაჭრას არსებული მტკივნეული პრობლემები.

ჩვენ წინაშე მდგომი რთული ამოცანების გადაწყვეტა გულისხმობს საბჭოთა ორგანოების შემდგომ განმტკიცებას. მათი მაორგანიზებელი და წარმმართველი როლის გაძლიერებას.

რესპუბლიკის მთავრობა პარტიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ყველაფერ იზრუნებს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გაუჯობესების, მათი აქტიურობის ამაღლების, საბჭოების საქმიანობისადმი დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებისათვის.

მთავრობა ყოველმხრივ შეუწყობს ხელს საბჭოს, რათა აქტიური პრაქტიკული მონაწილეობა მიიღოს რეგიონთა ეკონომიკის კომპლექსურ პრეგნოზირებაში, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში, გარემოს დაცვისა და სხვა საარსებო საკითხთა გადაწყვეტაში.

ჩვენი უდიდესი ვალია მომავალი თაობებისათვის, ზრუნვა. მთავრობა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები კვლავაც აქტიურად გადატარებენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმას, თანამიმდევრულად გადაჭრიან სასწავლო პროგრესების, მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საკითხებს, მიზანსწრაფულად უზრუნველყოფენ განათლების ხარისხის ამაღლებას, ახალგაზრდობის იდეურ წრთობას.

საქართველო ინტერნაციონალური რესპუბლიკაა. ამ ცხოვრობენ და შრომობენ 100-ზე მეტი ეროვნა და ეროვნების წარმომადგენელნი. მთავრობა, ყველაფერს იღონებს სოციალიზმის დიდი მონათვლის — ნათლია ლენინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, რაც საბჭოთა საქართველოს, მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის შემდგომი აყვავების საამედო საწინდარი უნდა იყოს.

საქართველოს შრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უახლოეს 15-20 წელიწადში უდიდესი მასშტაბისა და ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები უნდა გადაწყვიტონ. ამ პერიოდში ჩვენი განვითარების სანშინაო და საგარეო პირობები მოითხოვს აქტიურად განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, ყველა სახელმწიფოსთან თანაშრომლობის ლენინური პოლიტიკა, დაუცხრომლად ვიზრუნოთ მთელი ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო!

საარჩევნო კამპანიამ, არჩევნების შედეგებმა მთელი ძალით ცხადყო, რომ ჩვენი მშრომელები სავსებით იწონებენ და მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ კურსს, ახალი შრომითი აღმავლობით ემზადებიან XXVII ყრილობის, დიდ სამამული ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავის შესახვედრად.

ჩვენ გვწამს, რომ თორმეტგზის წითელდროშოვანი საბჭოთა საქართველოს შრომელები მთელ თავიანთ ნიჭსა და უნარს მოახმარენ მომდინარე წლის და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის საპატიო და რთული დავალებების რეალიზაციას და საიმედო საფუძველს შექმნიან მომავალი ხუთწლედის საქართველო საეროვნო პროგრამის წარმატებით რეალიზაციისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო!

მიმდინარე სესიის გუშინდელ სხდომაზე ამხანაგმა ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნასთან დაკავშირებულ თავის გამოსვლაში ღრმად გააანალიზა მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, საბჭოთა ორგანოების საქმიანობა, აღნიშნა მათი მუშაობის ღადები. ამავე დროს მან პრინციპული შეფასება მისცა იმ ნაკლოვანებებს, გადაუჭრელ პრობლემებსა და მოუგვარებელ საკითხებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხედავთ ჩვენს სამეურნეო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ საპროგრამო მითითებებს რესპუბლიკის მთავრობა თავისი მომავალი საქმიანობის ამოსავალ წერტილად მიიჩნევს.

მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ მინისტრთა საბჭო ძალ-ღონეს არ დაიშურებს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მიერ დასახული ამოცანების ბოლომდე განსახორციელებლად, უფრო გაამძაფრებს, უფრო დაუნდობელსა და ეკობპრომისოს გახდის ბრძოლას აღნიშნული მანკიერი მოვლენების აღმოსაფხვრელად, გადამჭრელ ღონისძიებებს განახორციელებს სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობის, მათი მუშაობის დონის ამაღლებისათვის, თვით მინისტრთა საბჭოს აპარატის მუშაობის სტილისა და ფორმების ძირეული გაუმჯობესებისათვის, მთელი ჩვენი საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის.

ნება მიბოძეთ, ამხანაგო დეპუტატებო, ერთხელ კიდევ გადაგიხადოთ გულწრფელი მადლობა დიდი ნდობისათვის და აღვუთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, უმაღლეს საბჭოს, რომ რესპუბლიკის მთავრობა მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას მოახმარს შრომელთა ნების აღსრულებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური ერუსის განხორციელებას, სამშობლოს ეკონომიკური ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის დონის შემდგომ ამაღლებას (ტაში).

რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება, რომელიც იწონებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

შემდეგ დეპუტატები იწყებენ დღის წესრიგის მომდევნო საკითხის განხილვას.

მოხსენება „დემოკრატიული საწყისების შემდგომი განვითარება რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობაში, მასზეთმან მათი კავშირურთიერთობის გაძლიერება, დეპუტატების ფორმირებათა როლის გაკეთილშობილება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანათა გადაწყვეტის, მოსახლეობის მომსახურების გაუჯობესების, ორგანიზებულობის ამაღლების, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების საქმეში“ გაკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა ჯ. ჯ. გელაშვილმა.

ცხადდება შესვენება. სესია აახლებს მუშაობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, დეპუტატ ნ. ვ. გურგენიძის თავმჯდომრეობით.

დეპუტატ ჯ. ჯ. გელაშვილის მოხსენების გამო გაგართელ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ჯ. ვ. კაპანაძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ვ. ი. ალბასი — იფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დ. დ. დიასამიძე. — აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ლ. ბ. დათიაშვილი — საქართველოს კომპარტიის ონის რაიონის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ა. ჭელეშავა — ცხინვალის ქალაქი „მინანქარსაღებელის“ მექანიკერი, ვ. ვ. შელქაძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ი. ნ. ქვლივიძე — უდაბნოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ა. ვ. კარანაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ვ. ა. კვარაცხელია — საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პირველი მდივანი, ვ. ა. ხუხარაძე — ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ა. დ. ზურაბაშვილი — თბილისის მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორი.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ ფართოდ უჭერენ მხარს და იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ფიდელებებსა და დასკვნებს, რომელნსაც შეიცავს ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა. ღრმა ქმაყოფილებას გრძნობით აღინიშნა, რომ დემოკრატიის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფა და განვითარება პარტიას მიაჩნია თავისი სამნიადო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირეულ ამოცანად.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობას რომ ანალიზებდნენ, ორატორებმა ხაზგასმით აღინიშნეს მათი მნიშვნელოვანი როლი საბჭოთა საქართველოს ცხოვრების ყველა დარგში. დეპუტატები, მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები აქტიურად მონაწილეობენ წარმოების მართვაში, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, მშრომელთა კეთილისტერ აღზრდაში. საგრძნობლად გაკეთდა ფრაქციული მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობაც. განსაზღვრულ სრულყოფენ რა თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, საბჭოები ქმედითან გადეულან ახლანდელ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, ადამიანის ყოველმხრივ განვითარებაზე, მისი ცხოვრებისა და შრომის პირობების ნიადაგ გაუმჯობესებაზე, სულიერი სახის ჩამოყალიბებაზე.

დეპუტატებმა კრიტიკულად შეაფასეს მიღწეული და აღნიშნეს, რომ თანამიმდევრულად უნდა ღრმავდებოდეს დემოკრატიული საწყისები საბჭოების საქმიანობაში. მათს მუშაობაში, ხაზგასმით აღინიშნა სესიაზე, მთავარია განამტკიცონ კავშირი მასებთან, უნარი შესწევდეთ დროულად დაინახონ სიახლე, მხარი დაუჭირონ ინიციატივას, ბოლომდე მიიყვანონ დაწყებული საქმე: ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ და კიდეც უნდა გააკეთონ საბჭოებმა ხალხის კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, მომსახურების სფეროს საქმიანობის გაუჯობესებისათვის, ფეიერან ან ყველაფერში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის. ეგეგმებიან რა სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, საბჭოები, დეპუტატთა ფორმირებანი, მათი აქტივი რეალისტურად უნდა აფასებდნენ საქმის ახლანდელ ვითარებას, თითოეულ მშრომელს აცნობნენ მათ წინაშე დასახული ამოცანების სიადილეს და მასშტაბურობას, ადამიანთა მთელ შემოქმედებითს ძალებს ამბარნენ ამ ამოცანების გადაწყვეტაში.

სესიიან ერთხმად მიიღო დადგენილება განხილულ საკითხზე.

შემდეგ უმაღლესი საბჭო იწყებს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შექმნის საკითხის განხილვას.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას. პარტიული ჯგუფისა და უხუცესების საბჭოს დავალებით მას შემოაქვს წინადადება შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს, დეპუტატ ვ. ვ. ხარაძეს. იგი წინადადებას აყენებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიონ დეპუტატი ა. ვ. კარანაძე.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო მისი თავმჯდომარის ა. ვ. კარანაძის თანამოსაყენებლად.

ბინდლისის სახალხოს ელექტროგაზონშემკეთებელი ქარხნის ხარატის, დეპუტატ ბ. ბ. ბაჩიჩილაძის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხს, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის, უპასუხეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ნ. ნ. ნეფედოვმა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარემ ზ. შ. ზესხოშვილმა.

განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები: დ. ნ. ბაისუროძე —თელავის წინდის ფაბრიკის მკსოველი, ბ. ს. ababიძე — საქართველოს კომპარტიის ზუალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

მეკითხეს წესით დაყენებულ საკითხზე სესიიან მიიღო დადგენილება.

შემდეგ უმაღლესი საბჭო იწყებს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაიალა ფეხბურთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოებს, ... ბებს უფრო სრულად განახორციელონ მათთვის მინიჭებული უფლებანი სახინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში, ამასთან რეგულარულად განინიონ სესიებზე კომუნალური მომსახურების საკითხები; მიაღწიონ საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური დანიშნულების ობიექტების შშენებლობისათვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა სრულ ათვისებას, უფრო ფართოდ გამოიყენონ ამ საქმეში საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრების კოოპერირება; უზრუნველყონ მოსახლეობის უფრო ფართო ჩაბმა სახინაო მეურნეობის მართვაში, სათბობის, წყლისა და ელექტროენერგიის მომჭირნეულ ხარჯვა.

სესიიან მოსთხოვა საქართველოს სსრ სახინაო კომუნალურ მეურნეობის სამინისტროს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ღონისძიებებს უზრუნველყონ საცხოვრებელი სახლების, კომუნალური დანიშნულების ობიექტების შშენებლობის გეგმების უფრო ადრე და დროული შესრულება, სრულყონ საცხოვრებელი სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ორგანიზაცია, ძირეულად გაუუჯობესონ მოსახლეობის კომუნალური მომსახურება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალა განიხილოს სახინაო-კომუნალური მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხი.

სესიის დღის წესრიგი ამოიწურა. საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია დახურულად ცხადდება.

• • •

სესიის მუშაობის დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შედგენი კომისიების სხდომები.

(საინფორმი).

ეცხოვითი

ფაქტები მოვლენები

6 აპრილი ● საკდესი იუწყება

იაპონია

დაამტკიცეს ბიუჯეტი

ტოკიო. კიდევ ერთი ნახევარ საათნახევარ წრეების მიერ სამხედრო მზადების დაჩქარების გზაზე — ასე შეიფასებს იაპონიის ოპოზიციური პარტიებმა ქვეყნის 1985 საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. იგი მიიღეს პარლამენტში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისაგან დეპუტატთა ხმის უმრავლესობით.

ორ თვეზე მეტი ხნის მანძილზე პარლამენტის კომისიებში მწვავე კამათი მიმდინარეობდა პრემიერ-მინისტრ ნაკასონეს მთავრობის მიერ შეთავაზებული ბიუჯეტის პროექტის გამო. ოპოზიციის წარმომადგენლებმა, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტებმა და სოციალისტებმა, მოითხოვეს ხისი ძირფესვიანად გადასინჯვა, მილიტარისტული მიზნებისათვის ასიგნებათა შემცირება და პირიქით, სოციალური საჭიროებისათვის დოტაციის გაზრდა. მაგრამ კონსერვატორებმა უგულებელყვეს ეს წინადადებანი, რომლებსაც მხარს უჭერენ მოსახლეობის ფართო ფენები, და ხალხს მოახვიეს ბიუჯეტი, რომელიც მსხვილი კაპიტალის, იაპონისა და ამერიკის მხედრიონის ინტერესებს შეესაბამება.

ახალ ბიუჯეტში, ისევე როგორც წინა წლებში, პრიორიტეტი ეძლევა სამხედრო უწყების მოთხოვნებს. კერძოდ, გათვალისწინებულია 6,9 პროცენტით გაზრდილი მილიტარიზაციის ხარჯები, რომელიც შეადგენენ ომის შემდგომ პერიოდში რეკორდულ თანხას 3,14 ტრილიონ იენს.

აშშ

მილიტარისტული კანონპროექტები

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რეიგანმა ხელი მოაწერა ორ კანონპროექტს, რომელთა თანახმად, გამოიყოფა სახსრები „მექს“ ტიპის პირველი ბირთვული დარტყმის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების წარმოების განგრძობისათვის. ამ კანონპროექტების შესაბამისად, რომლებიც კონგრესმა მოიწონა ადმინისტრაციის ძლიერი ზეგავლენის შედეგად, მიმდინარე საფინანსო წელს 1,5 მილიარდი დოლარი მოხმარდება კიდევ 21 „მექს“ რაკეტის წარმოების.

სულ ვაშინგტონი აპირებს დაამზადოს ასეთი ტიპის 223 რაკეტა, რომელთა გასროლების დაწყება გათვალისწინებულია 1986 წლისათვის.

ინგლისი

ანტიჩალეჯური კურსის

ლონდონი. კონსერვატორთა მთავრობის დასაბუთების დარღვის პოლიტიკა მკაცრად გაკიცხეს ბრიტანეთის ტრადიციონალისტურ ლელმძღვანელებმა ეკონომიკური განვითარების ეროვნული სამეჯოს აქ გამართულ სხდომაზე. ფინანსთა მინისტრი ნ. ლოუსონი კიდევ ერთხელ შეეცადა გაემართლებინა ოფიციალური ლონდონის ანტიხალეჯური კურსი, რომელიც ოთვალსაჩინებს ახლო მომავალში უმუშევრობის შენარჩუნებას ახლანდელ კატასტროფულ დონეზე.

როგორც სხდომაზე განაცხადა ბრიტანეთის ტრადიციონალისტა კონგრესის გენერალურმა მდივანმა ჯონ ედმონდსმა, კონსერვატორთა მთავრობა, რა დამპრეზებსა და ფანდებსაც უნდა მიმართავდეს იგი, აშკარად უტევს ბრიტანეთის მშრომელთა უფლებებსა და ცხოვრების დონეს.

ირან-ერაყის ფრონტზე

ბაღდადი. 4 აპრილს საღამოს ერაყის ავიაცია თავს დასხა „მსხვილ სანდვლის სამიზნეს“ ირანის კუთვნილი ბარყის კუნძულის მახლობლად სპარსეთის ყურეში. ეს თქვა ერაყის სამხედრო წარმომადგენელმა ბაღდადის რადიოთი გადმოცემულ განცხადებაში.

ერაყის თავდასხმა სამხედრო სარდლობის კომუნიკეს თანახმად, განვლილი დღე-ღამის მანძილზე ერაყის სამხედრო-საპაერო ძალების თვითმფრინავებმა 171 საბრძოლო გაფრენა შეასრულეს, იერაში მიიტანეს ირანის ჯარების პოზიციებზე და თავმოყრის რაიონებზე მისინანს სეკტორში და „მდინარე ტიგროსის ალმოსავლეთით“ მდებარე უბანზე. მოწინააღმდეგმ ცოცხალი ძალის და ტექნიკის ზარალი განიცადა.

ნიკოზია. ირანის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, 4 აპრილს ირანის ავიაციამ სამი ქალაქი დაბომბა ერაყის ტერიტორიაზე.

ირანის შორსმსროელი არტილერია კვლავ უშენდა ცეცხლს ერაყის ქალაქ ბასრას.

არგენტინა

პლენუმის გადაწყვეტილება

ბუენოს-აირესი. აქ გაიმართა არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მომავალი წლის მეორე ნახევარში მოიწვიოთ არგენტინის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს შინაპოლიტიკური ვითარებისა და პროფკავშირული მოძრაობის მდგომარეობის საკითხები, აღნიშნეს თავიანთი უფლებების დასაცავად მშრომელთა ბრძოლის შემდგომი გაკაცტურების ფნმგნელმა.

ჯანმრთელობის მსოფლიო დღის აღსანიშნავად

ჯანსაღი ახალგაზრდობა ჩვენი საუკეთესო ცვლაა

ჩვენი „პლანეტის ახალგაზრდობისთვის ზრუნვასთან დაკავშირებულ პრობლემებს მიეძღვნა ბოლოდროინდელ 7 აპრილს ეძღვნება მორიგი ჯანმრთელობის მსოფლიო დღე. ამ დღეებში ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ამ ასე განაცხადა: „ჯანსაღი ახალგაზრდობა ჩვენი საუკეთესო ცვლაა“.

— რატომ აირჩიეს მაინცდამაინც ასეთი დევიზი?

ჟურნალისტ ს. სელეგანოვს ამ კითხვაზე უპასუხეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბაგშვთა და ყმაწვილთა ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სამკურნალო კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გალინა სერდიუკოვსკაია.**

— დევიზი: „ჯანსაღი ახალგაზრდობა ჩვენი საუკეთესო ცვლაა“ შემთხვევით როდი აირჩიეს. ფიზიკურად მგაარი, ჰარმონიულად განვითარებული ქალაქელები და ბავშვები 2000 წლისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის მიღწევის საფუძველი და მომდევნო თაობების ჯანმრთელობის გარანტია.

— და მაინც, რა არის საგანგებო ინიციატივის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ჰარმონიულად ვითარდებოდეს ფიზიკურადაც და ზნეობრივადაც?

— ბავშვებისა და ყმაწვილების ჯანმრთელობა, მათი აღზრდა ჩვენი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის უპირველესი ამოცანაა. ეს პროგრამაში ჩაწერილია: „პარტიას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია უზრუნველყოს ადრეული ასაკიდან ფიზიკურად მაგარი ახალგაზრდა თაობის აღზრდა, რომელსაც ჰარმონიულად ექნება განვითარებული ფიზიკური და სულიერი ძალები“. ბავშვებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ერთ-ერთი უდიდესი გამოვლინებაა სასკოლო რეფორმა. სულ მალე ყველა სკოლა გადავა ახალ პროგრამებზე და სახელმძღვანელოებზე, რეალიზებული იქნება 11-წლიანი სავალდებულო სკოლის სტრუქტურა, დამთავრება ექვსი წლის ასაკიდან ბავშვების სწავლებაზე გადასვლა. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა ბევრი ახალი პრობლემა, მათ შორის — ბავშვების შრომითის აღზრდასთან დაკავშირებული. მეცნიერულმა კვლევებმ, რომელიც ... ბევრ ... ...